




ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2025 წელს მშპ-ის ზრდა 4.1%-დან 6.8%-მდე იქნება; მხარდი პოლიტიკური დაკაბულობის მიუხედავად, იანვრის ზრდამ 11.1% შეადგინა

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. აქ არის ამ თვის მთავარი მიგნებები.

მთავარი მიგნებები:

- საქსტატმა გამოაქვეყნა 2025 წლის იანვრის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი შეფასება, რომელიც 11.1%-ს შეადგენს.
- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი პროგნოზირებს, რომ საქართველოს ეკონომიკა 2025 წლის პირველ კვარტალში 8.6%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 7.2%-ით გაიზრდება. თუმცა ეს პროგნოზი შესაძლოა გადაჭარბებულად აფასებდეს ზრდას, რადგან მიმდინარე პოლიტიკური დამაბულობა ჯერ არ ასახულა მონაცემებში. მოდელი ეყრდნობა მონაცემებს 2025 წლის იანვრამდე, რაც პოლიტიკური კრიზისის მხოლოდ პირველ სამ თვეს მოიცავს.



- იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ 2025 წლის წლიური ზრდა უარეს შემთხვევაში 4.1% იქნება, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში ან საშუალო გრძელვადიანი ზრდის სცენარის მიხედვით კი 6.8% იყოს.. ჩვენი საშუალო სცენარი (ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდაზე დაყრდნობით) პროგნოზირებს რეალური მშპ-ის 5.9%-იან ზრდას.

ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენენ მშპ-ის ზრდის პროგნოზზე იანვრის მონაცემების საფუძველზე:

ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტები. პირველი ჯგუფი ცვლადებისა, რომლებსაც ზომიერი გავლენა აქვს ჩვენს პროგნოზზე, ეხება ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტებს კომერციულ ბანკებში. ეროვნული ვალუტის დეპოზიტების თითქმის ყველა მთავარმა კატეგორიამ აჩვენა წლიური ზრდა. კერძოდ, ეროვნული ვალუტის მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 1%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ვადიანი დეპოზიტები გაიზარდა 21.3%-ით წლიურად. შედეგად, ეროვნული ვალუტის მთლიანი დეპოზიტები 7.5%-ით გაიზარდა წლიურ საფუძველზე. თუმცა მიმდინარე ანგარიში შემცირდა 10.1%-ით წინა წელთან შედარებით. *რომ შევაჯამოთ, აღნიშნულმა ფაქტორებმა დადებითი გავლენა იქონია მშპ-ის პროგნოზზე.*

უცხოური ვალუტის მთლიანი დეპოზიტები 24.1%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით. იმავე პერიოდში, უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები 16.5%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 17.2%-ით გაიზარდა წლიურ გათვლაში. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ვადიანმა დეპოზიტებმა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა (35.6%) აჩვენა. *თუმცა, ჩვენი მოდელის მიხედვით, უცხოური ვალუტის დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს კვლავ უარყოფითი წვლილი ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

საქონლით ვაჭრობა. იანვარში საქართველოს ექსპორტი წლიურად 19.3%-ით გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ავტომობილების ექსპორტის/რეექსპორტის (გაიზარდა 16%-ით წინა წელთან შედარებით), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორებისა და სხვა სპირტიანი სასმელების (გაიზარდა 10.2%-ით წინა წელთან შედარებით) და წყლების, ბუნებრივი ან ხელოვნური მინერალური და გაზიანი წყლების, შაქრის დამატების გარეშე (გაიზარდა 46.6%-ით წინა წელთან შედარებით) ექსპორტის ზრდით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 47.8%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი 60.4%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 1,2 მილიარდი აშშ დოლარი¹ შეადგინა (სავაჭრო დეფიციტის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ნახატების, ხატვისა და პასტელების ერთჯერადი იმპორტით (გაიზარდა 2004058%-ით წინა წელთან შედარებით), ეფექტი, რომლის გაგრძელებაც მოსალოდნელი არ არის).

ოფიციალური სარეზერვო აქტივები: იანვარში ოფიციალური სარეზერვო აქტივები 8.6%-ით შემცირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით. სარეზერვო აქტივები წარმოადგენს კრიტიკულ ბუფერს გარე

¹ საქსტატი, 21 მარტი, 2025



შოკებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მათი შემცირება არა მხოლოდ ასახავს გარე მოწყვლადობის მოგვარების შემცირებულ შესაძლებლობას, არამედ შეიძლება მიანიშნებდეს ინვესტორთა ნდობის შესუსტებაზე ან საგადასახდელო ბალანსის დინამიკის მართვის გამოწვევებზე, რაც უარყოფითად აისახება მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

სამომხმარებლო კრედიტი. იანვარში კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტის საერთო მოცულობა 24.6%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რაც ასახავს მყარ საკრედიტო აქტივობას. მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტი მკვეთრად გაიზარდა – 42.9%-ით წლიურად, რაც გამოწვეული იყო როგორც ადგილობრივი (34.6%), ისე უცხოური ვალუტის (62.6%) სესხების მნიშვნელოვანი ზრდით. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა 24%-ით გაიზარდა წლიურად. *სამომხმარებლო კრედიტის აქტივობის ეს ზრდა მიანიშნებს სესხებისა და ხარჯვის უფრო მაღალ შესაძლებლობაზე, რამაც დადებითი გავლენა იქონია შიდა მოთხოვნაზე და ნაწილობრივ გაანეიტრალა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მოქმედი ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი.*

ინფლაცია. იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2.1% იყო, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამიზნე 3%-ს. საერთაშორისო საქონლის სტაბილურობა ფასებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციური წნეხის შემსუბუქებაში. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია თანდათანობით დაუბრუნდება საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნავთობის ფასები გლობალურ ბაზარზე (Euro Brent Spot Price) 1.1%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. *მთლიანობაში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოკვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.